„პოსტისლამიზმი და სეკულარიზმი, „სამართლიანობისა და განვითარების პარტიის მმართველობა თურქეთში“

ნინო კანდელაკი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე საერთაშორისო ურთიერთობების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

პოლიტიკის მეცნიერება

სამეცნიერო ხელმძღვანელი: პროფესორი გიორგი სანიკიძე

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
თბილისი 2014

აბსტრაქტი

პირველი მსოფლიო ომის შემდეგ, სეკულარულ პრინციპებზე დაფუძნებული „ახალი თურქეთის“ ისტორიაში მნიშვნელოვანი პერიოდი დაიწყო. ოსმალეთის იმპერიის ნანგრევებზე აღმოცენებულმა, დასავლეთზე ორიენტირებულმა და დემოკრატიის პრინციპების გამტარებელმა სახელმწიფომ, მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა.

ნაშრომის მითავარი მიზანია, თანამედროვე თურქეთში არსებული სიტუაციის ასახვა, იმის დადგენა, თუ რამდენად ახერხებს ქყვეყანა სეკულარული პრინციპების დაცვას, როდესაც თურქეთის სათავეში პრო ისლამური „სამართლიანობისა და განვითარების“ პარტია დგას. მოქმედი მთავრობის საშინაო და საგარეო პოლიტიკის მიმოხილვა საინტერესო საკვლევ თემას წარმოადგენს.

ნაშრომში წარმოდგენილი იქნება „თანამედროვე თურქეთის“ დაარსებისა და შემდგომ განვითარებული მოვლენების მოკლე ისტორიული ექსკურსი. მთავარი აქცენტები იქნება მოქმედ ხელისუფლებაზე, „სამართლიანობისა და განვითარების პარტიაზე“, რომელის მმართველობაც პოსტისლამისტური პერიოდის დასაწყისად შეფასდა. საპარლამენტო არჩევნებში სამგზის გამარჯვებული მოქმედი ხელისუფლების პოლიტიკის ძირითადი ასპექტები და ის სტრატეგიები, რაც მას საერთაშორისო თვალსაზრისით აქვს, კვლევის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს.

ერთი მხივ, პროისლამისტური იდენტობითა და მეორეს მხრივ, დემოკრატიისა და სეკულარიზმის პრინციპების აღიარებით, თურქეთის მოქმედი ხელისუფლება საკმაოდ რთულ პოლიტიკას აწარმოებს დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის.